აკა ფოჯიას!

MDF-ისა და GDI-ის ყოველკვირეული ბიულეტენი

34 10-16 ნოემბერი

კვირის მიმოხილვა

10-16 ნოემბრის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- სიძულვილის ენა ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად, უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ იყო მიმართული;
- თურქოფობია და ისლამოფობია ძირითადად მედია-კავშირ "ობიექტივში", გაზეთ "ასავალ-დასავალში", ინტერნეტ-პორტალებზე "საქინფორმი" და geworld.ge იყო წარმოდგენილი;
- ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას როგორც პოლიტიკოსები, ასევე სასულიერო პირი, სხვა რესპონდენტები და მედია საშუალებები (გაზეთები "კვირის ქრონიკა", "ასავალ-დასავალი"; ინტერნეტ-პორტალები "საქინფორმი", geworld.ge) ახდენდნენ;
- ჰომოფობიური განცხადებები ანტიდასავლურ კონტექსტში იჩენდა თავს;
- ტრანსგენდერთან დაკავშირებული კრიმინალური შემთხვევის გაშუქება გარკვეულ მედია საშუალებებში სტანდარტების დარღვევით მოხდა.

სიძულვილის ენა

ასავალ-დასავალი, 10-16 ნოემბერი

დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი: „ჩვენ რომ ფხა გამოგვეჩინა, ცოტა უფრო ორგანიზებულად შევსკდომოდით სააკაშვილის ნიღბიან მანქურთებს და მოღალატე პოლიტმეძავების ჭკუაზე არ გვევლო, დიდი-დიდი 100-200 ქართველი დაცემულიყო ბრძოლის ველზე, სამაგიეროდ, საქართველო ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოიშორებდა ნაცისტურ სექტას - იმ დამპალ ფურუნკულს, რომელმაც მომდევნო 5 წლის განმავლობაში ქვეყნის ეროვნული სხეული ასტრონომიული სისწრაფით დაალპო!“

GEWORLD.GE, 14 ნოემბერი

თენგიზ კუბლაშვილი, უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი: "თავი დავანებოთ იმას, რომ [უკრაინის] პრეზიდენტი, პრემიერ მინისტრი, ვიცე პრემიერი, რეგიონის გუბერნატორები ეთნიკური ებრაელები არიან, რომლებიც ნაციონალური რიტორიკით ყელყელაობენ, ყველა მათგანი კოსმოპოლიტი, გლობალისტი და მართლმადიდებლობის მოძულეა. ამასთანავე, ფსიქიკური და ფიზიკური გადახრებიც აქვთ. მათ შორის პედარასტები და პედოფილებიც გვხვდებიან.

გაგრძელება გვ. 2

შინაარსი

თურქოფობია/ისლამოფობია	2
ქსენოფობია	3
ეთნიკური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება	3
მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული დავა	4
ანტიდასავლური განწყობები	4
ჰომოფობია	7
სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება	8

გაგრძელება გვ. 4

ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი [illegible]ელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია MDF და GDI და შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

სიძულვილის ენა

დასაწყისი გვ. 1

მგლისპირა, კურდღლისტუჩა, ელამი, თვალების უაზროდ მოტრიალე, ყბაჩუა, ენაბლუ... ასეთი პოლიტიკოსები ქართველებისთვის არახალია. არც სექსუალური მანია, განდიდებისა და დევნის მანია, სადიზმი, აკვიატებული წარმოსახვები არის უცხო ნაცების ლიდერებისთვის."
http://www.geworld.ge/View.php?ArtId=6305&lang=ge

ობიექტივი, ღამის სტუდია, 11 ნოემბერი

ტელემაყურებელი: " მე აქედან ისე არ წავალ, რომ ამ აოხრებულ ნაცებს, აყროლებულ ნაცებს რომ არ გავუსწორდე."
http://www.myvideo.ge/?video_id=2450129

თურქოფობია/ისლამოფობია

ობიექტივი, ღამის სტუდია, 14 ნოემბერი

მამუკა გიორგაძე, სახალხო პარტია: "ჩვენ არა ვართ მეჩეთების თავისთავად წინააღმდეგი, მაგრამ თურქული ექსპანსიის წინააღმდეგი ნამდვილად ვართ."
http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=19328

ასავალ-დასავალი, 10-16 ნოემბერი

ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი: "დიახ, თურქეთი, რომელიც ჩვენი ისტორიული მტერი იყო, დღეს, რატომღაც, ჩვენი „დიდი მეგობარი" გახდა და ერთადერთი, რასაც გვიკეთებს, ის არის, რომ მაქსიმალურად ცდილობს აჭარის ანექსიას!

თურქეთის დღევანდელი პრემიერ-მინისტრი დავითთოღლუ ის კაცია, რომელიც ცოტა ხნის წინათ, საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს, ღიად აცხადებდა, ოსმალეთის იმპერია უნდა აღდგეს და აჭარაც მის შემადგენლობაში უნდა შევიდესო!"

საქინფორმი, 11 ნოემბერი

აგასი არაბიანი, რუსეთის ჯავახკის დიასპორის პრეზიდენტი: „ნუთუ ჩვენი თანამემამულენი გულხელდაკრეფილი უნდა ელოდონ, ამ შემთხვევაში როდის მოახდენს აჭარის ანექსირებას თურქეთი „ყარსის ხელშეკრულების" საფარქვეშ, ხოლო სამცხე-ჯავახეთის ანექსირებას მოისურვებს მხარის ტერიტორიაზე გამავალი ენერგეტიკული მილსადენებისა და რკინიგზის დაცვის საბაბით?!"
http://bit.ly/1A5DgPm

GEWORLD.GE , 14 ნოემბერი

გიორგი სიჭინავა, მწერალი: "ნათქვამია: უპატრონო ქვეყანას ეშმაკები დაეპატრონენო. თურქეთი აჭარის მიერთებას აპირებს და ამას არც მალავს. ამ მიმართულებით გააქტიურდა ამ დიდი მუსლიმანური სახელმწიფოს აგენტურა. უკვე ყალყზე დგას ქართველი მუსლიმანობა და ქართულ მიწაზე მეჩეთების აშენებას ითხოვს. ეს აჭარის ანექსიის წინასწარი სამზადისია."
http://geworld.ge/View.php?ArtId=6304

GEWORLD.GE, 12 ნოემბერი

მურაზ ნაგიევი,"მსოფლიო ხალხთა ქრისტიანულ-მუსლიმანური მეგობრობა": "დღეს სერიოზულად დგას აჭარის პრობლემაც. ბათუმი ფორმალურად არის ჩვენი, თორემ რეალურად საქართველოს აღარ ეკუთვნის.

თურქები აშენებენ სასტუმროებს, იღებენ მოქალაქეობას. აჭარაში მუშაობს ტარიელ ნაკაიძე, რომელიც დაკავშირებულია

გაგრძელება გვ. 3

ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი: "დიახ, თურქეთი, რომელიც ჩვენი ისტორიული მტერი იყო, დღეს, რატომღაც, ჩვენი „დიდი მეგობარი" გახდა და ერთადერთი, რასაც გვიკეთებს, ის არის, რომ მაქსიმალურად ცდილობს აჭარის ანექსიას!

თურქოფობია/ისლამოფობია

დასაწყისი გვ. 2

თურქეთის საგარეო დაზვერვასთან (ეჭვი მაქვს, სხვა ქვეყნებთანაც). მას დავალებული აქვს, საქართველოში ისეთი რელიგიური თემის აგორება, რომელიც მართლმადიდებლებს არ მოეწონებათ.“
http://geworld.ge/View.php?ArtId=6289

GEWORLD.GE, 14 ნოემბერი

თენგიზ კუბლაშვილი, უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი: "მუსლიმანი ჩრდილო კავკასიელები დაგვიბრუნებენ აფხაზეთსა და შიდა ქართლს? იქნებ არაბული სამყარო, ვაჰაბისტები თუ ათასი ჯურის ტერორისტები იზრუნებენ საქართველოზე? ან იქნებ თურქეთმა, ჩვენმა ისტორიულმა “მეგობარმა”, გამოგვიწოდოს დახმარების ხელი?

რუსეთის დაშლა-დასუსტების შემთხვევაში საქართველო მუსლიმანთა სათარეშო არენად იქცევა; ვინც არ გამაჰმადიანდება და ეროვნებას არ დაკარგავს, მოკლავენ, უკეთეს შემთხვევაში - გაყიდიან (ახალგაზრდა გოგონებსა და ლამაზ ქალებს გადარჩენის მეტი შანსი აქვთ, შეიძლება ხალიფატის რომელიმე გავლენიანი ტერორისტის პირველცოლობასაც კი გამოჰკრან ხელი)!“
http://geworld.ge/View.php?ArtId=6305

ქსენოფობია

GEWORLD.GE, 14 ნოემბერი

გიორგი სიჭინავა, მწერალი: "საინგილო რატომ შევატოვეთ აზერბაიჯანს ან რად გავჩუმებულვართ სომხური აგრესიის წინაშე?..

აქეთ კი სომხები ეძებენ “თავიანთ დაკარგულ მიწებს” საქართველოში. მათ ახლახან და უკვე მერამდენედ დააყენეს საკითხი, ჩვენს მიწაზე “არსებული” და თითქოს ჩვენ მიერ “წართმეული” 365 სომხური ეკლესიის დაბრუნებაზე, მის კუთვნილ მამულებთან ერთად. ამდენი ეკლესია და მისი კუთვნილი მამულები კი, ალბათ, ნახევარ საქართველოს მოიცავს. ეტყობა, დაშნაკებისგან განსხვავებით, სომხეთის ეკლესიამ ქართული მიწების მითვისების მიზნით ახალი, “მშვიდობიანი” გეგმა მოიფიქრა."
http://geworld.ge/View.php?ArtId=6304

ეთნიკური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება

რეზონანსი, 12 ნოემბერი

ეკატერინე ბასილაია, ჟურნალისტი: „ნაცემები არიან ქართველი ნოდარ ჭიჭიაშვილი, რომელსაც თელავის საავადმყოფოში ოპერაცია ჩაუტარდა და ამჟამად სახლში მკურნალობს და ქისტი ჯოყოლა აჭიაშვილი.“

ტაბულა, ფოკუსი, 10 ნოემბერი

ირაკლი კიკნაველიძე, წამყვანი: "დაპირისპირება ახმეტაში, ეთნიკურად ქისტები და ეთნიკურად ქართველები გუშინდელის შემდეგ ორჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ჟურნალისტი: „გუშინ ღამით ეთნიკურად ქისტებს და ეთნიკურად ქართველებს შორის რამდენიმე დაპირისპირება მოხდა.“
http://www.myvideo.ge/?video_id=2452940

მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული დავა

ინტერპრესნიუსი, 14 ნოემბერი

ინფორმაციაში, რომელიც შეეხება გორის რაიონის სოფელ ზეღდულეთის მოსახლეობის მიერ ინდოეთის მოქალაქეებისთვის მიწის დამუშავებაში ხელის შეშლის ფაქტს, მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის პოზიციაა გადმოცემული და არ არის მოყვანილი თავად მიწის მესაკუთრე ინდოელების პოზიცია.
http://www.interpressnews.ge/ge/regioni/305014-zeghdulethis-mosakhleoba-indoethis-moqalaqeebze-mitsis-gaskhvisebas-aprotestebs.html?ar=A

ანტიდასავლური განწყობები

კვირის ქრონიკა, 10-16 ნოემბერი

ნინო ბურჯანაძე, დემოკრატიული მოძრაობა -ერთიანი საქართველო: "... თუ დასავლეთის მონა ხარ, მაშინ შენი ადამიანების უფლებები უნდა დაიცვან, ხოლო თუ დასავლეთის მონა არ ხარ და სახელმწიფოს ინტერესებზე ლაპარაკობ, თუნდაც პრორუსული იარლიყი გაქვს მოწებებული, მაშინ მოგკლან, დაგალპონ, ციხეშიც ჩაგაგდონ და პრობლემა არ არის?.. უკვე მეტისმეტია ის განცხადებები, რაც „ნაცმოძრაობის“ დასაცავად კეთდება.“

ასავალ-დასავალი, 10-16 ნოემბერი

გია ბურჯანაძე, ბურჯანაძე - გაერთიანებული დემოკრატები: "ვფიქრობ, დიდი თამაშია დაწყებული ამერიკელების მხრიდან, რომელშიც ჩართულნი არიან პროამერიკული ძალები და უნდათ, რომ საქართველოში რაღაც უბედურება დატრიალდეს.“

მაესტრო, მაესტროს ცხრიანი, 11 ნოემბერი

პახა კუკავა, თავისუფალი საქართველო: „ადრე იყო საბჭოთა პერიოდში, თუ გინდოდა ცეკას პირველი მდივნობა, როგორ უნდა გაგეკეთებინა, უნდა ჩასულიყავი კრემლში და გეთქვა, ეს პირველი მდივანი არ არის მოსკოვის ერთგული. იგივე არის დღეს... რატომ იხდის ან ბიძინა ივანიშვილი ან მიშა საკაშვილი ოც და ორმოც მილიონს, რატომ იხდის ამერიკელ ლობისტებში? იმიტომ, რომ მთავარია, ვაშინგტონი დაარწმუნო, თორემ კუკავა და ჟიჟილაშვილი და ამომრჩევლები რას ფიქრობენ ამ ქვეყანაში...“
http://www.myvideo.ge/?video_id=2449946

რეპორტიორი, 14 ნოემბერი

ბასილ მკალავიშვილი, მღვდელი: „ჩვენი ეკლესიის დარბევა საკაშვილმა შავნაბადას რეზიდენციაში დაგეგმა... ამათ [ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, ბოკერია და ახალაიები] კი მისცა დავალება, ისეთი სისასტიკით დაერბიათ ჩვენი ეკლესია, რომ მთელ მსოფლიოს ენახა... საღამოთი ამერიკის ერთ-ერთ რესტორანში საკაშვილი, ჯორჯ სოროსი და რამდენიმე მამათმავალი კონგრესმენი (იმათგან ორმა ერთმანეთზე ჯვარი დაიწერა) ერთად უყურებდნენ ამ ბარბაროსობას, ეკლესიის დარბევასა და ჩემს დაპატიმრებას.“
http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=45153

ალია, 14-17 ნოემბერი

ბასილ მკალავიშვილი, მღვდელი: „ჩვენი ქვეყანა მთლიანად ამერიკიდან იმართება მისი ელჩის, ნორლანდის მეშვეობით, მის გარეშე ხელი ვერ გაგვინძრევია. ამერიკელთა მზაკვრული გეგმის ნაწილია, აგრეთვე, ახალგაზრდების დაზომბირება.

გაგრძელება გვ. 5

ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 4

ამ მიზნით ისინი სკოლის დამთავრებისთანავე განსაკუთრებით ის მოსწავლეები, რომლებიც წარჩინებით ამთავრებენ, ამერიკაში მიჰყავთ სასწავლებელში უფასოდ. იქ ხდება ამათი გადაბირება, როცა დაამთავრებენ სწავლას, გზავნიან საქართველოში, რათა მათ ჩამოაყალიბონ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელიც ამერიკის კურსის მხარდამჭერი იქნება, ასე ჩამოყალიბდა თავის დროზე „თავისუფლების ინსტიტუტი“, ასე არიან დღესაც. ისინი თითქმის ყველა მართლმადიდებლობას ებრძვის, ეს არის მსოფლიო მასონიზმის ოცნება, აღმოიფხვრან მართლმადიდებლობა."

GEWORLD.GE, 13 ნოემბერი

თამაზ ჯაფოშვილი, ი. სტალინის ფონდის თავმჯდომარე; გივი ბერძენიშვილი, ინჟინერ-აკადემიკოსი, მწერალი: "… ევროპა დღეს რელიგიის გარეშეა დარჩენილი, უფრო ზუსტად, იქ ღმერთის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის იდეოლოგია მძვინვარებს. ისეთი სიბილწე, როგორიც არის ეკლესიაში მღვდელმსახურის მიერ მამაკაცთა წყვილისთვის ჯვრის დაწერა, ანუ ერთსქესიანთა დაქორწინება, ალბათ, სოდომსა და გომორშიც არ ყოფილა... ანტიქრისტე-გლობალისტები შეფარვით ებრძვიან ქრისტე-ღმერთს, ხოლო სტალინს, როგორც ყველაზე ქრისტიანულ ბელადს მსოფლიოს ისტორიაში, ებრძვიან ღიად, ვითომ ტირანს, რომელმაც არ იცოდაო, რისთვის ხოცავდა ხალხს...

დასავლეთის ცივილიზაციამ მოსპო თავისი კულტურა, სული და ღმერთისადმი აქტიური მტრობის გზას დაადგა. მამონას კულტი და სოდომიზმი, ცხადია, განწირულია." http://www.geworld.ge/View.php?ArtId=6301

კვირის ქრონიკა, 10-16 ნოემბერი

დემურ გიორხელიძე, ექსპერტი: „შემიძლია დიდი პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ დასავლეთის ელჩებმა წლების განმავლობაში არაერთი შეცდომა დაუშვეს და ქართველი ხალხის მათდამი დამოკიდებულება ბევრმა იცის კიდეც... რატომღაც, საქართველოში მოუნდა ყველას ხელისუფლებისთვის ჭკუის სწავლება, როცა გამოძიება მიმდინარეობს. ეს სხვა არაფერია, თუ არა გამოძიებაზე ზეწოლა.“

ასავალ-დასავალი, 10-16 ნოემბერი

ნანა დევდარიანი, გლობალური კვლევის ცენტრი: „მეფე ერეკლემ ჩინებულად იცოდა, რა ხდებოდა იმ დასავლეთში, სადაც ჩვენ, თურმე, „უნდა დავბრუნდეთ“...

მილიონზე მეტი ფრანგი გამოვიდა პარიზში ერთსქესიანი ქორწინების მეწყვილეებისთვის ბავშვების მიშვილების აკრძალვით. უვაჟკაცესი ადამიანი ალენ დელონი დადგა ამ პოზიციაში! ჩვენ გვინდა ასეთი ევროპა! ჩვენ არ გვინდა ის ევროპა, რომელსაც გვიხატავენ გუშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები!"

GEWORLD.GE, 12 ნოემბერი

ჯაბა ჟვანია, ავტორი: "...27 ივნისს "ქოცების" მთავრობამ ისტორიული ბლეფი დააგვირგვინა - ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომლითაც საქართველომ თავი გაჰყო სერიოზულ შარში. ერთი სიტყვით, მედასავლეთე ლიბერალებმა უზენაესი ამოცანა პირნათლად შეასრულეს - ქვეყანა მოწყვიტეს ისტორიულ ფესვებს და ვირტუალურ "ევრომირაჟში" გადატყორცნეს." http://geworld.ge/View.php?ArtId=6291

კვირის ქრონიკა, 10-16 ნოემბერი

გიორგი ჯიქიაშვილი, ჟურნალისტი: „სოროსი და მისი სოროსირები სწორედ იმ ანტიქართული იდეოლოგიის ადამიანთა ნუსხაში არიან. მეტიც, ეს შავ-ბნელი კასტა არის უპრეცედენტო ბოროტება, გაუგონარი წარმოუდგენელი განსაცდელი, რომლის მსგავსიც მრავალჭირნახულ საქართველოს აქამდე არ ჰქონია...

გაგრძელება გვ. 6

ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 5

დიახ, სააკაშვილს და მის დანაშაულებრივ გარემოცვას თავიანთი მფარველი მამებისგან სისხლისღვრაზე მწვანე შუქი აქვთ ანთებული. მათ იციან, რომ ნორლანდები და ბილდტები (სხვა დასავლელ ჩინოვნიკებზე რომ არაფერი ვთქვათ) ნებისმიერ ქმედებას „გაუპრავებენ“...

საქინფორმი, 14 ნოემბერი

საქინფორმი: “ანტიქრისტე ქრისტეს მაგიერს - მის შემცვლელს ნიშნავს. ყველაფერს ქრისტესმიერს ანტიქრისტესეული უნდა ჩაენაცვლოს. „შავი“ უნდა გახდეს „თეთრი“, „ბოროტება“- „სიკეთე“, „ქალი-კაცად“ და პირიქით! დააკვირდით: ყველგან, ქვეყნებში, სადაც კი ქრისტიანობაზეა საუბარი, არასად იხსენება მართლმადიდებლობა, რის გამოც, თანდათან ვრწმუნდები, რომ მთელი ეს პროცესი სწორედ მართლმადიდებლობის, როგორც “დასაბამი ერი რელიგიის” (თავიდან ხომ ყველგან მხოლოდ „ერთი ქრისტეანობა“ იყო) ირგვლივ „მარყუჟის შემოსაჭერად“ არის გამსაზღვრული!

P.S. ხვალ საქართველოში ჯორჯ სოროსი ჩამოდის...“

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=21297:2014-11-14-08-30-55&catid=100

საქინფორმი, 10 ნოემბერი

არნო ხიდირბეგიშვილი, საქინფორმი: „საქართველოსთვის აშშ-მ აამოქმედა სახელმწიფო გადატრიალების კომბინირებული ვარიანტი: 15 ნოემბერს, 16:00 საათზე, „ნაცმოძრაობა“ დაიწყებდა თბილისში „მაიდანს“, რომელიც საღამოს „არაბულ გაზაფხულში“ უნდა გადაზრდილიყო!"

http://bit.ly/1zmtXKx

საქინფორმი, 14 ნოემბერი

„ჯერ დაშლა და შემდეგ განადგურება. საბერძნეთი, როგორც მართლმადიდებლური ქვეყანა - პრაქტიკულად უკვე თავის ჭკუაზე გადააკეთეს. ამიტომ, რუსეთის ირგვლივ დაიწყეს „მარყუჟის შემოჭერა“... ე.წ. „ზემო აფხაზეთის“ და სამაჩაბლოს რეგიონის რუსეთისთვის ჩაბარებით, „ნატო“-ს ის ტერიტორია გაუთავისუფლა, სადაც ალასანიას განცხადებით ე.წ. „საწვრთნელი ბაზები“ უნდა განლაგდეს. ამგვარი ბაზების მარყუჟით რუსეთი ალყაში უნდა მოექცეს. რაც მთავარია, მთელი ბუნებრივი რესურსები უნდა გადავიდეს აშშ-ს ხელში.“

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=21299:2014-11-14-08-32-45&catid=100:

GEWORLD.GE, 14 ნოემბერი

თენგიზ კუბლაშვილი, უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი: "იმ ქვეყნებმა, რომლებმაც ევროპისკენ მიმავალი გზა აირჩიეს, ნატოში გაწევრიანება სურთ, საქართველოს მსგავსად, დაკარგეს ტერიტორიები, ახრჩობთ მილიარდობით ვალი, გაჩანაგდა მათი ეკონომიკა, უმუშევრობის მიზეზით მოსახლეობის მიგრაცია კატასტროფულ ზღვარს უახლოვდება."

http://www.geworld.ge/View.php?ArtId=6305&lang=ge

გაგრძელება გვ. 7

ანტიდასავლური განწყობები

GEWORLD.GE, 14 ნოემბერი

გიორგი სიჭინავა, მწერალი: “მეგობარი” ევროპა და აშშ რატომ ნერგავს ჩვენს საზოგადოებაში გარყვნილებასა და უზნეობას? რატომ ებრძვის ჩვენს ტრადიციებსა და ჩვენს მართლმადიდებლურ რწმენას, რომელზეც დაფუძნებულია ჩვენი ეროვნულობა და მეობა?..

დასავლეთში კი ვერ გაუძლეს ჭეშმარიტ ქრისტიანობას, ვერ გაუმკლავდნენ მიწიერ ვნებებს და სარწმუნოებაც მოირგეს თავის ნებაზე, ხორცის დასატკბობად და სულის საზიანოდ. ნუთუ ჩვენც ამ გზას დავადექით?..

არ შევუწყობთ ხელს გარყვნილების პროპაგანდასა და გავრცელებას, რაც “სქესობრივი უმცირესობის უფლებათა დაცვის” ნიღბით უნდათ შემოგვაპარონ.“
http://geworld.ge/View.php?ArtId=6304

ასავალ-დასავალი, 10-16 ნოემბერი

სათაური: "ნატო-მ გეი და ლესბოსელი სამხედროები გაახარა!"

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: „ხვალზეგ, „ლგბტ ადამიანებმა“, შეიძლება განაცხადონ, თუ საქართველო ნატო-სკენ ისრაფვის, მაშინ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სტანდარტებით უნდა ვიცხოვროთ და ჩვენც გვინდა საქართველოს არმიაში სამსახური და გეებს - კაბებში, ლესბოსელებს კი - შარვლებში გამოწკეპაო!

ახლა წარმოიდგინეთ, თუ ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობა კატეგორიულად უარს ეტყვის რომელიმე ლგბტ ვაჭარაძეს ხაკისფერი კაბის ჩაცმაზე, რა ამბავს ატეხენ სხვადასხვა ჯურის ლიბერასტები და ასო-ები.“

საქინფორმი, 13 ნოემბერი

საქინფორმი: „ფოტოებზე წარმოდგენილი არიან გაურკვეველი სქესის ადამიანები. სავარაუდოდ, ამ ნატოელი ვალკირიების ნაწილი - ქალის ფორმაში გადაცმული მამაკაცია. ამ გზით ხორციელდება გარყვნილების პოპულარიზაცია და საზოგადოებისთვის ამგვარი გადაწყვეტილების ადექვატურობის თავსმოხვევა.“
http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=21286:2014-11-13-09-38-29&catid=109:

ჰომოფობია

ალია, 14-17 ნოემბერი

ბასილ მკალავიშვილი, მღვდელი: "შორს ჩვენგან მამათმავლობა, ერთსქესიანთა ქორწინება და სხვა სიბილწეები, ღმერთმა დაგლოცოთ!.“

ასავალ-დასავალი, 10-16 ნოემბერი

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: „...სწორედ მაია ფანჯიკიძის დამსახურებით, საქართველო მთელ ევროპასთან ასოცირდა არა კოსმოსში, პოლიფონიურობის ზეციურ საოცრებად შერაცხილ „ჩაკრულოსთან“, არამედ, უკაცრავად და, პედერასტი კინტოების უკანალის წნევასთან ასოცირებ-ულ ჰანგებთან!“

სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება

ასავალ-დასავალი, 10-16 ნოემბერი

დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი: „როგორც ბატონმა რეზო ამაშუკელმა მითხრა, „დერმოკრატების“ შეკრებაზე დაცული იყო გენდერული ბალანსიც - ყრილობას ესწრებოდნენ დები ბერძენიშვილები.“

GEWORLD.GE, 13 ნოემბერი

სათაური: „იდეალური წყვილი - ჰომოსექსუალი ზაუერი და ლესბოსელი მერკელი”
http://geworld.ge/View.php?ArtId=6303

ტრანსგენდერთან დაკავშირებული კრიმინალრუი შემთხვევის გაშუქება

იმედი, იმედის კვირა, 16 ნოემბერი

ტრანსგენდერი საბის მკვლელობის თემაზე, რომლიც გამოძიების ოფიციალური ვერსიით, სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებით მოხმდარ შელაპარაკებას უკავშირდებოდა, "იმედის კვირამ” სიუჟეტი მოამზადა. კრიმინალურ შემთხვევასთან დაკავშირებულ სიუჟეტში დაუსაბუთებლად იყო მოყვანილი ფრაგმენტი საარქივო მასალიდან, რომელიც გარდაცვლილის სექსუალურ ორიენტაციას შეეხებოდა. კერძოდ: “შინაგანი ბრძოლა მქონდა, რომელიც ძალიან რთული იყო და დავძლიე, მომწონს მამაკაცები.“ აღნიშნულ სინქრონს მოსდევდა დანაშაულში ბრალდებულის სასამართლო პროცესის კადრი, რასაც დანაშაულის მოტივზე შესაძლოა, არასწორი წარმოდგენა შეექმნა.

KVIRISPALITRA.GE, 11 ნოემბერი

დისკრიმინაციული შეკითხვით მიმართა გარდაცვლილის მეზობელს “კვირის პალიტრის” ჟურნალისტმა, სათაურში კი ყურადღება სექსუალურ იდენტობაზე გაამახვილა.

სათაური: "მკვლელობა პეკინზე, - "სულ ქალის ტანსაცმლით დადიოდა, მაგის ტანზე შარვალი არ გვინახავს…"

ეთერ ერაძე, ჟურნალისტი [მიმართავს მეზობელს]: "*გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცი ტრანსგენდერი იყო, ეს ხომ არ იწვევდა მეზობლების აგრესიას?"*
http://www.kvirispalitra.ge/justice/23295-mkvleloba-pekinze-qsul-qalis-tansacmlith-dadioda-magis-tanze-sharvali-ar-gvinakhavsq.html